განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

გამოყენებითი ფსიქოლოგია

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

შეფასების თარიღი: 24 დეკემბერი, 2018

დასკვნის წარდგენის თარიღი: 1 თებერვალი, 2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ააიპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204429341
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გამოყენებითი ფსიქოლოგია
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ფსიქოლოგიის მაგისტრი 07 სოციალური მეცნიერებები 0707 ფსიქოლოგია
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ლილი ხეჩუაშვილი,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ნანა ბურდული,** საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**რუსუდან ბოჭორიშვილი** კონსულტაციის, ინტერვენციისა და თერაპიის ცენტრი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ლალი ჩირგაძე,** თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

  — გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფსიქოლოგიის მაგისტრი.

  — პროგრამა ოთხ სემესტრს (120 კრედიტს) მოიცავს. პირველი ორი სემესტრი ეთმობა სავალდებულო, არჩევით და სავალდებულო-არჩევით (მოცემული კონცენტრაციისთვის) საგნებს (საერთო ჯამში 60 კრედიტი -- 50 კრედიტი სავალდებულო და არჩევითი, ხოლო 10 ECTS სავალდებულო-არჩევითი საგნებისათვის). მესამე სემესტრიდან სწავლება მთლიანად კონცენტრაციების (25 კრედიტი) მიხედვით ხორციელდება. სტუდენტებს შეეთავაზებათ 15 კრედიტიანი კურსი პოლიტიკური (I კონცენტრაცია) ან მართვის/ორგანიზაციის ფსიქოლოგიის (II კონცენტრაცია) მიმართულებით და, ასევე, ორი სავალდებულო-არჩევითი კურსი (ჯამში 10 კრედიტი). მეოთხე სემესტრი სამაგისტრო ნაშრომის (30 კრედიტი) მომზადებას ეთმობა. ამასთან, სტუდენტებს კიდევ ერთი კურსის (5 კრედიტი) არჩევის შესაძლებლობა აქვთ თანამედროვე ფსიქოლოგიის აქტუალურ თემატიკასა თუ არჩეული კონცენტრაციის მომიჯნავე დისციპლინებში.

  — წარმოდგენილი პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამა ლოგიკურად არის აგებული და თანმიმდევრულია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამაში დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

  — წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის კომპონენტების შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის ჩათვლით, უზრუნველყოფს დასახული მიზნების, აღწერილი სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების მიღწევას, პროგრამის სრულყოფისთვის გარკვეული კომპონენტების დასახვეწის მიზნით შემუშავდა ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

  — აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის გარე შეფასებისთვის განხორციელდა 2018 წლის 24 დეკემბერს.

  — ვიზიტი წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით წარიმართა. ექსპერტთა ჯგუფი განსაზღვრული თანმიმდევრობით შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხემძღვანელსა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანს, თვითშეფასების ჯგუფს, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, მიმდინარე სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელსა და წარმომადგენლებს. ექსპერტთა ჯგუფმა, ასევე, დაათვალიერა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ, ნახა ბიბლიოთეკა, აუდიტორიები და ელექტრონული ბაზა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  — წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა, დადგენილი წესის თანახმად, შესაბამისობაშია I, III, IV და V სტანდარტებთან და მეტწილ შესაბამისობაშია II სტანდარტთან.

- **რეკომენდაციები**

— მოსამზადებელი კურსის როგორც მოცულობის (საკითხთა მრავალფეროვნებისა და სიღრმის), ისე -- ხანგრძლივობის გაზრდა.

— პროგრამაზე დაშვების (ერთ-ერთ) წინაპირობად B1 დონის ინგლისურის ნაცვლად მოთხოვნილ იქნეს B2 დონის ინგლისური.

— ფსიქომეტრიის კურსის ნაცვლად ორი ახალი კურსის შეთავაზება: (1) კურსი, რომლის ფარგლებში სტუდენტებს შეეთავაზებათ კონკრეტული, მათი ინტერესებისათვის მაქსიმალურად შესაბამისი რაოდენობრივი კვლევის მეთოდების სიღრმისეული სწავლება და (2) კურსი, რომელშიც ისინი SPSS-ში მუშაობის პრინციპებსა და კონკრეტული მეთოდების გამოყენებას/ინტერპრეტაციასა და ანგარიშგებას ისწავლიან. ამასთან, პირველი კურსი, შესაძლოა, სავალდებულო იყოს, მეორე კი -- არჩევითი და სტუდენტების საჭიროების მიხედვით შეძლებენ ამ კურსის აღებას.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

— აკადემიური პერსონალის წახალისება არსებული კვლევითი/სამეცნიერო აქტივობისათვის გამოყოფილი რესურსების მეტად ათვისებისათვის, რაც ხელს შეუწყობს როგორც თავად პერსონალის საქმიანობის გაუმჯობესებასა და გაძლიერებას, ისე -- სტუდენტების ჩართულობას კვლევით საქმიანობაში.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა**

— 2016 წლიდან უსდ მონაწილეობს ,,ERASMUS+"-ის საგრანტო პროექტში ,,უკეთესი კომუნიკაციის ხელშეწყობა (ABC)", რომლის ფარგლებშიც კომუნიკაციის, ენისა და მეტყ-ველების დარღვევების მიმართულებით შესაბამისი საგანმანათლებლო მოდულებისა და პროგრამის შემუშავების გარდა, დაგეგმილია სპეციალური აღჭურვილობის შეძენა და სპეციალისტების მომზადება.

— GIPA-ში ჩვეულ პრაქტიკას წარმოადგენს პროფესორის მიერ სტუდენტთა ჯგუფის შეფასება. კურსის განმახორციელებელი პროფესორი/მოწვეული ლექტორი მთელი რიგი კრიტერიუმების მიხედვით აფასებს ჯგუფს, რაც სასარგებლო ინფორმაციას აწვდის როგორც პროგრამის განმახორციელებლებსა და ხელმძღვანელებს, ისე — აკადემიურ პერსონალს რეფლექსიისა და პროგრამის/კურსის შემდგომი დახვეწის მიმართულებით.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა**

— პირველი აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების გათვალისწინებით, უფრო მკაფიოდ გაიწერა სალექციო კურსები კონცენტრაციებთან მიმართებით და უფრო ნათლად ჩამოყალიბდა კომპეტენციები, მაგალითად, მოდიფიცირდა ერთ-ერთი სალექციო კურსი („კვლევის დიზაინი და მეთოდები") მაგისტრატურის საფეხურის მოთხოვნების შესაბამისად, 2018 წლიდან კი, სტუდენტების დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, აღნიშნულ კურსი გაძლიერდა აკადემიური წერის კომპონენტის ინტეგრაციით. ასევე, კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით, სამაგისტრო ნაშრომის საათობრივი დატვირთვა გაიზარდა, რაც შესაბამისად აისახა მის მოცულობაში.

— შეიცვალა პროგრამაზე დაშვების ერთ-ერთი წინაპირობა. გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვრა ფსიქოლოგიის საბაკალავრო

ხარისხი, ხოლო სხვა სპეციალობის აპლიკანტებისთვის სავალდებულოდ ფსიქოლოგიის სამთვიანი მოსამზადებული კურსის გავლა.

— ცალკეულ სილაბუსებში დაკორექტირდა სწავლებისა და შეფასების მეთოდები და განახლდა საკითხავი მასალები.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზნები — მოამზადოს მაღალკვალიფიცირებული ფსიქოლოგები, რომლებიც წარმატებით შეძლებენ მართვის პოლიტიკურ და ორგანიზაციულ პრობლემებთან გამკლავებას, კერძოდ, ექნებათ ღრმა და სისტემური ცოდნა პოლიტიკური და საორგანიზაციო მართვის ფსიქოლოგიაში, პოლიტიკური და საორგანიზაციო ქცევის თანამედროვე კონცეფციების, ძირითადი თეორიებისა და მიდგომების, ტენდენციების, თეორიული, მეთოდოლოგიური და კვლევითი პრინციპების საფუძვლიანი და ინდივიდუალური კვლევითი პროექტების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის აუცილებელი ცოდნა — შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, რაც გულისხმობს დამოუკიდებელი საქართველოსთვის თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი და დემოკრატიული ღირებულებების ერთგული ლიდერების აღზრდას, ლიბერალური და დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებას, პროფესიული ეთიკის დამყარებას და საქართველოს დასავლურ სამყაროში ინტეგრაციას. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ისე — აკრედიტაციის ვიზიტის მსვლელობისას პროგრამის ხელმძღვანელებთან, განმახორციელებელ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან შეხვედრამ აჩვენა, პროგრამის მიზნები დაწესებულების მისიის კონტექსტშია გააზრებული და ფორმულირებული, რაც უზრუნველყოფს კიდეც ამ ორის ურთიერთ შესაბამისობას. ასევე, წარმოდგენილი პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების შედეგად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • უნივერსიტეტის მისია; • უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა; • საგანმანათლებლო პროგრამა; • შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა კვლევა; • ინტერნაციონალიზაციის სამოქმედო გეგმა; • უნივერსიტეტის ვებ გვერდი www.gipa.ge; • ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანთან; • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან და თვითშეფასების ჯგუფთან.

რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებში დეტალურად არის აღწერილი ყველა ის თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარი თუ პასუხისმგებლობა, რომელსაც პროგრამა აძლევს კურსდამთავრებულს. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და კურსდამთავრებულებს აძლევს განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. როგორც პროგრამის აღწერასა და თვითშეფასების ანგარიშში, ისე -- თითოეული კურსის სილაბუსში დაწვრილებით არის აღწერილი კონკრეტული სწავლის შედეგები, რომელთა მიღწევასაც ისახავს მოცემული კურსი. ამასთან, ნათლად და დეტალიზებულად არის წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, რომლითაც შესაძლებელი ხდება პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ურთიერთშედარება. სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. პროგრამის შემუშავებაში ჩართულ ყველა დაინტერესებულ მხარესთან -- დამსაქმებლებთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან და სტუდენტებთან -- შეხვედრების შედეგად და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, განისაზღვრა სასწავლო გეგმის შედეგები (დარგობრივი ცოდნა, პრაქტიკა, ანალიტიკა, კვლევა, კომუნიკაცია, პროფესიული ეთიკა და ტრანსფერული უნარები), რომლებიც თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან. ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მისაღებად სტუდენტი ვალდებულია დააგროვოს 120 კრედიტი, რომელსაც აღწევს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნების, სავალდებულო-არჩევითი და არჩევითი საგნების, არჩევითი სასწავლო კონცენტრაციისა და სამაგისტრო ნაშრომის შესრულებით. წარმოდგენილი პროგრამისა და მასში შემავალი კურსების სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ სასწავლო გეგმაში შემავალი საგნები თანმიმდევრულად და ეტაპობრივად აძლევენ შესაბამის ცოდნას სტუდენტებს. თითოეული კურსის გავლის შედეგად სტუდენტი ფლობს გარკვეულ კომპეტენციას კონკრეტული მიმართულებით, ხოლო მთლიანად შეძენილი ცოდნისა და გამომუშავებული უნარ-ჩვევების საფუძველზე ასრულებს სამაგისტრო ნაშრომს და საბოლოოდ

გადის იმ შვიდ შედეგობრივ მაჩვენებელზე, რომელთა შეფასება ხდება წინასწარ შემუშავებული ნიშნულების მიხედვით. დაშვებული გადახრა თითოეული ნიშნულისთვის შეადგენს 10%-ს. ასევე, როგორც წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, ისე ვიზიტის მსვლელობისას ნათლად და არგუმენტირებულად იკვეთება შეფასების შედეგების უკუკავშირისათვის და პროგრამის გაუმჯობესებისათვის გამოყენების აქტიური პრაქტიკის ტრადიცია უნივერსიტეტში. თითოეული კურსის სწავლის შედეგების შეფასება ექვემდებარება ანალიზსა და გამოიყენება შემდგომ გაუმჯობესებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • საგანმანათლებლო პროგრამა; • შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა კვლევა; • თვითშეფასების პროცესის ანგარიში; • უნივერსიტეტის ვებ გვერდი - www.gipa.ge; • ინტერვიუ ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან; • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან და თვითშეფასების ჯგუფთან.
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✘			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: წარმოდგენილ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „გამოყენებითი ფსიქოლოგია“ დაშვების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს: (1) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ფსიქოლოგიაში. მათ, ვინც არ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას, მოეთხოვებათ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლის მოსამზადებელი, სამთვიანი კურსების “ფსიქოლოგიის საფუძვლები” წარმატებით გავლა; (2) ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ზღვარის წარმატებით გადალახვა (A ტესტი); (3) შიდა საუნივერსიტეტო პროცედურის (გასაუბრება მიმღებ კომისიასთან) წარმატებით გავლა, რომელიც გულისხმობს ინგლისური ენის ცოდნის შემოწმებასაც (მოთხოვნა: Intermediate (B1) დონე). მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით უდს-ში ვიზიტის მსვლელობისას სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და განმახორციელებელ პერსონალთან შეხვედრებზე გამოიკვეთა ორი საკითხი: პირველი შეეხებოდა არასპეციალისტების მიერ წინასწარი სამთვიანი კურსის გავლას, მეორე კი -- ინგლისური ენის მოთხოვნილ დონეს, რამაც ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციების საფუძველი შექმნა (იხ. ქვემოთ არგუმენტაცია და შესაბამისი რეკომენდაციები). ჩარიცხვის პირობების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდსა და სოციალური ქსელის ოფიციალური გვერდზე. გარდა ამისა, ღია კარის დღეებზე, სადაც დაინტერესებულ პირებს ეძლევათ შესაძლებლობა შეხვდნენ პროგრამის ხელმძღვანელებს და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ სხვა პირებს უფრო დეტალური ინფორმაციის მიღების მიზნით. ამასთან, ქვეყნდება განცხადება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ყოველწლიურ გზამკვლევში (სწავლების ენა, საფასური, მისაღები ადგილები და ა.შ.). რაც შეეხება საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვას, პროცედურა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. პროგრამაზე ჩარიცხვა, ან მობილობის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • საგანმანათლებლო პროგრამა; • თვითშეფასების ანგარიში; • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი www.gipa.ge; • ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან და განმახორციელებელ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- **მოსამზადებელი სამთვიანი კურსი.** წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების პროცესში გამოცდილებამ აჩვენა, რომ საჭირო იყო პროგრამაზე დაშვების ისეთი წინაპირობების დაწესება, რომ არასპეციალისტებს (ფსიქოლოგის ბაკალავრის დიპლომის არმქონეთ), რომელთაც სურვილი ჰქონდათ პროგრამაზე სწავლის, შეძლებოდათ სწავლა. ამისათვის უნივერსიტეტში შემუშავებულ იქნა წინასამაგისტრო ინტენსიური მოსამზადებელი სამთვიანი კურსი „ფსიქოლოგიის საფუძვლები", რომელიც ზოგად ცოდნას აძლევს მსმენელს ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, შესახებ. ვიზიტის მსვლელობისას სტუდენტები და კურსდამთავრებულები, ასევე, აკადემიური პერსონალი აღნიშნავდა, რომ ფსიქოლოგის განათლების არ მქონე სტუდენტებისათვის, ფსიქოლოგის ბაკალავრის ხარისხის მქონე სტუდენტებთან შედარებით, მეტ გამოწვევას წარმოადგენდა მოცემულ პროგრამაზე სწავლა როგორც თეორიული ცნებებისა და კონსტრუქტების გაგება/ათვისების, ისე -- სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში კვლევითი საქმიანობის წარმართვის თვალსაზრისით. პროგრამის ხელმძღვანელებთან საუბარში გაირკვა, რომ ეს საკითხი უკვე დადგა უნივერსიტეტისა და პროგრამის განმახორციელებლების წინაშე და დაწყებულია მუშაობა აღნიშნული მოსამზადებელი კურსის გამდიდრება/სრულყოფის მიმართულებით. ამასთან, მიუხედავად იმისა, რამდენად ინტენსიური და მრავლისმომცველია სამთვიანი მოსამზადებელი კურსი, შეუძლებელია ოთხწლიანი საბაკალავრო პროგრამის კომპენსირება ასეთი კურსით, თუმცა გარკვეული ცვლილებების პირობებში შესაძლებელია მაქსიმალურად მიახლოება იმ ცოდნასა და კომპეტენციებთან, რომლებიც აპლიკანტს დასჭირდება წარმოდგენილი კონკრეტული სამაგისტრო პროგრამის დასაძლევად. ამიტომ ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია მოსამზადებელი კურსის როგორც მოცულობის (საკითხთა მრავალფეროვნებისა და სიღრმის), ისე -- ხანგრძლივობის გაზრდა.
- **ინგლისური ენა.** როგორც პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრებამ აჩვენა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობად მოთხოვნილი ინგლისურის B1 (intermediate) დონეზე ცოდნა არასაკმარისია მოცემული პროგრამის ფარგლებში ინგლისურენოვანი საკითხავი მასალის ასათვისებლად. როგორც ვიზიტის მსვლელობისას გაირკვა, რეალურად სტუდენტებს B2 დონის კომპეტენციები ესაჭიროებათ პროგრამის დასაძლევად, რაც ერთგვარ გამოწვევას წარმოადგენს მათთვის. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების (ერთ-ერთ) წინაპირობად B1 დონის ინგლისურის ნაცვლად მოთხოვნილ იქნეს B2 დონის ინგლისური.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა აგებულია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესებთან, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესთან და პროცედურებთან შესაბამისად, რაც ითვალისწინებს პროგრამის შემუშავებისა და განვითარების სრულ ციკლს, მისი მონახაზის შექმნიდან სააკრედიტაციო პროცედურებამდე. წარმოდგენილი პროგრამა შედგენელია მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების გათვალისწინებით. მასში შემავალი კურსები ლოგიკური თანმიმდევრობით არის წარმოდგენილი, ხოლო კრედიტები ისეა გადანაწილებული, რომ ყველა მათგანს დაეთმოს აუცილებელი და საკმარისი დრო და ყურადღება. აქვე უნდა ითქვას, რომ ერთი კრედიტის მოცულობა 25 ასტრონომიული საათია და მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების გონივრული რაოდენობების ჯამს. პროგრამა ოთხ სემესტრს (120 კრედიტს) მოიცავს. პირველი ორი სემესტრი ეთმობა სავალდებულო, არჩევით და სავალდებულო-არჩევით (მოცემული კონცენტრაციისთვის) საგნებს (საერთო ჯამში 60 კრედიტი -- 50 კრედიტი სავალდებულო და არჩევითი, ხოლო 10 ECTS სავალდებულო-არჩევითი საგნებისათვის). მესამე სემესტრიდან სწავლება მთლიანად კონცენტრაციების (25 კრედიტი) მიხედვით ხორციელდება. სტუდენტებს შეეთავაზებათ 15 კრედიტიანი კურსი პოლიტიკური (I კონცენტრაცია) ან მართვის/ორგანიზაციის ფსიქოლოგიის (II კონცენტრაცია) მიმართულებით და, ასევე, ორი სავალდებულო-არჩევითი კურსი (ჯამში 10 კრედიტი). მეოთხე სემესტრი სამაგისტრო ნაშრომის (30 კრედიტი) მომზადებას ეთმობა. ამასთან, სტუდენტებს კიდევ ერთი კურსის (5 კრედიტი) არჩევის შესაძლებლობა აქვთ თანამედროვე ფსიქოლოგიის აქტუალურ თემატიკასა თუ არჩეული კონცენტრაციის მომიჯნავე დისციპლინებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • საგანმანათლებლო პროგრამა; • ცალკეული კურსების სილაბუსები; • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები; • ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო; • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან; • ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან; • ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან.
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილ პროგრამაში შემავალი თითოეული კურსის მიზნები და სწავლის შედეგები თანხვედრაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, რაც, თავის მხრივ, ასახული და ჩაშლილია თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და სწავლის შედეგებში.

პროგრამის თითოეული სასწავლო კურსი შეესაბამება სწავლის შვიდ შედეგს: დარგობრივი ცოდნა, პრაქტიკა, ანალიტიკა, კვლევა, კომუნიკაცია, პროფესიული ეთიკა და ტრანსფერი და სწავლის შედეგები პროგრამაში დეტალურად არის გაწერილი ცხრილის სახით როგორც სავალდებულო, ისე -- სავალდებულო-არჩევით საგნებისთვის. წარმოდგენილ პროგრამაში, ასევე, ნათლად არის მოცემული ნიშნულები (გამოთვლილი თითოეული განვლილი კურსის შეფასების ანალიზის საფუძველზე) თითოეული კურსისათვის და თითოეული ნიშნულისათვის დაშვებული გადახრა 30%-ს შეადგენს.

მიუხედავად ამისა, უსდ-ის მიერ წარმოდგენილი მასალებისა და ვიზიტის დროს გამოიკვეთა მცირედი მოდიფიკაციის საჭიროება, რამაც ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციის საფუძველი შექმნა (იხ. ქვემოთ, რეკომენდაციის ნაწილი).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სალექციო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო უახლესი ლიტერატურა და დამატებითი სასწავლო მასალა შეესაბამება მოცემული კურსის სწავლის შედეგებს. სასწავლო პროცესში უახლესი ლიტერატურის ინტეგრირებისა და აღნიშნული ლიტერატურის უცხო ენაზე ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე, სავალდებულო ლიტერატურის გარკვეული ნაწილი ინგლისურენოვანია. როგორც თვითშეფასების ანგარიშშია ნათქვამი, აღნიშნული არ წარმოადგენს ბარიერს სტუდენტებისათვის მიღების წინაპირობებიდან გამომდინარე, თუმცა ეს უკანასკნელი გადახედვას საჭიროებს (იხ. სტანდარტი 2.1. და შესაბამისი რეკომენდაცია).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ სამაგისტრო ნაშრომების სამეცნიერო ხელმძღვანელებთან.

რეკომენდაციები:

- **ფსიქომეტრია.** საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კურსების ჩამონათვალში არის კურსი სახელწოდებით „ფსიქომეტრია“, რომლის ფარგლებშიც, ფაქტობრივად, კომბინირებულია ორი მოცულობითი საკითხი: (ა) ტესტის შექმნის თეორია, მეთოდოლოგია

და პრაქტიკა და (ბ) SPSS-ში მუშაობის საფუძვლები (აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკის ელემენტები).

წარმოდგენილი პროგრამის მიზნებიდან, ფოკუსიდან და თემატიკიდან გამომდინარე, რეკომენდებულია ფსიქომეტრიის კურსის ნაცვლად ორი ახალი კურსის შეთავაზება: (1) კურსი, რომლის ფარგლებში სტუდენტებს შეეთავაზებათ კონკრეტული, მათი ინტერესებისათვის მაქსიმალურად შესაბამისი რაოდენობრივი კვლევის მეთოდების სიღრმისეული სწავლება და (2) კურსი, რომელშიც ისინი SPSS-ში მუშაობის პრინციპებსა და კონკრეტული მეთოდების გამოყენებას/ინტერპრეტაციასა და ანგარიშგებას ისწავლიან. ამასთან, პირველი კურსი, შესაძლოა, სავალდებულო იყოს, მეორე კი -- არჩევითი და სტუდენტების საჭიროების მიხედვით შეძლებენ ამ კურსის აღებას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა 2014 წლიდან ხორციელდება, აღსანიშნავია ის ცვლილებები და პროგრესი, რომელიც პროგრამამ პირველი აკრედიტაციიდან დღემდე განიცადა.

პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა რამდენიმე ცვლილება, რომელიც ითვალისწინებდა, ერთი მხრივ, პირველადი აკრედიტაციის რეკომენდაციებს და, მეორე მხრივ, ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად მოპოვებულ მონაცემებსა და ინფორმაციას; საკუთარ დაკვირვებებს; ლექტორთა და სტუდენტების უკუკავშირს და, ასევე, დარგში მიმდინარე პროცესებს.

პირველი აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების გათვალისწინებით, უფრო მკაფიოდ გაიწერა სალექციო კურსები კონცენტრაციებთან მიმართებით და უფრო ნათლად ჩამოყალიბდა კომპეტენციები, მაგალითად, მოდიფიცირდა ერთ-ერთი სალექციო კურსი („კვლევის დიზაინი და მეთოდები“) მაგისტრატურის საფეხურის მოთხოვნების შესაბამისად, 2018 წლიდან კი, სტუდენტების დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, აღნიშნულ კურსი გაძლიერდა აკადემიური წერის კომპონენტის ინტეგრაციით. ასევე, კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით, სამაგისტრო ნაშრომის საათობრივი დატვირთვა გაიზარდა, რაც შესაბამისად აისახა მის მოცულობაში (კრედიტებში).

გარდა ამისა, შეიცვალა პროგრამაზე ჩარიცხვის ერთ-ერთი წინაპირობა. პირველი წლის გამოცდილებამ, როდესაც მაგისტრატურაში, ფსიქოლოგებთან ერთად, დაშვებულნი იყვნენ სხვა სპეციალობის ბაკალავრები, გამოკვეთა მათი არათანაბარი მზაობა პროგრამისადმი. შინაარსის უკეთ ათვისებისთვის სხვა სპეციალობის სტუდენტებს სჭირდებოდათ მეტი დრო და მეტი ახსნა-განმარტება. აღნიშნული გამოცდილების გათვალისწინებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვრა ფსიქოლოგიის საბაკალავრო ხარისხი, ხოლო სხვა სპეციალობის აპლიკანტებისთვის სავალდებულოდ ფსიქოლოგიის სამთვიანი მოსამზადებული კურსის გავლა (ამ კურსთან დაკავშირებით იხ. სტანდარტი 2.1).

კიდევ ერთი ცვლილება შეეხო სილაბუსებს -- დაკორექტირდა სწავლებისა და შეფასების მეთოდები და განახლდა საკითხავი მასალები.

გარდა ამისა, პროგრამის განვითარების პროცესში გათვალისწინებული იქნა აკადემიური პროცესის მონიტორინგის შედეგები, რომელიც ასახავდა სტუდენტებისა და ლექტორების შეფასებებს. განხილულ და გათვალისწინებულ იქნა შრომის ბაზრის მოთხოვნებიც. შედეგად

პროგრამას დაემატა სავალდებულო-არჩევითი კურსები „მანიპულაცია კომუნიკაციის პროცესში" (პოლიტიკური ფსიქოლოგიის კონცენტრაციაში) და „მართვა და კომუნიკაცია" (მართვის/ორგანიზაციული ფსიქოლოგიის კონცენტრაციაში), გაფართოვდა პოლიტიკური ფსიქოლოგიის კონცენტრაციის თემატიკა პოლიტიკური ფილოსოფიის, პოლიტიკური კონფლიქტების და დიპლომატიური მოლაპარაკებების ხელოვნების საკითხების დამატებით. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან (ICRC) თანამშრომლობით მომზადდა ახალი კურსი „ორაზროვანი დანაკარგის თეორია და პრაქტიკა" (სავალდებულო-არჩევითი პოლიტიკური კონცენტრაციისთვის).
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტებისათვის პრაქტიკული საქმიანობისა და სამეცნიერო უნარების განვითარებაზე. სტუდენტს სასწავლო პროცესის ყველა ეტაპზე ეძლევა მიღებული ცოდნისა და ათვისებული უნარების პრაქტიკული რეალიზაციის საშუალება, რასაც ხელს უწყობს ისეთი აქტივობები, როგორიც არის გუნდური მუშაობა, როლური თამაშები, სიმულაციები, ქეისების გარჩევა და ა.შ. ასევე, მოწვეულ სტუმრებთან, პრაქტიკოსებთან, შეხვედრები. რაც შეეხება კვლევითი კომპეტენციების განვითარებას, ამ მიზანს პროგრამის შემაჯამებელი სამაგისტრო ნაშრომი ემსახურება. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების დიდი ნაწილი უკვე დასაქმებულია და ფლობს საქმიანობისათვის საჭირო პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, როდესაც პროგრამაში ერთვება, შესაბამისად, პროგრამის განმახორიელებლებს არ უწევთ მათი პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ზრუნვა, თუმცა პროგრამით გათვალისწინებულია მაგისტრანტთა მივლინება (სურვილის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო პრაქტიკის გასავლელად. ამის წინაპირობას ქმნის უნივერსიტეტის მიერ გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები დამსაქმებლებთან. ამასთან, პროგრამის აკადემიური თუ მოწვეული პროფესურის მნიშვნელოვანი ნაწილი ეწევა არა მხოლოდ აკადემიურ, არამედ პრაქტიკულ საქმიანობასაც, რაც ასევე აძლევს სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს საშუალებას ახლო კავშირი იქონიონ დასაქმების ბაზართან და კვლევის სფეროსთან. ფაქტობრივად, აკადემიური/მოწვეული პერსონალის ნაწილი თავად არის დამსაქმებელი, რაც პროგრამის სასიკეთოდ მეტყველებს და მუშაობს, ვინაიდან მათ უკეთ იციან, რა კონკრეტული უნარ-ჩვევების მქონე სპეციალისტის მიღება სურთ მოცემული პროგრამის დასრულების შემდეგ.

რაც შეეხება კვლევით საქმიანობას, სტუდენტების კვლევით გამოცდილებას იძენენ სტუდენტური კონფერენციებისათვის მომზადებისა და მონაწილეობის პროცესში. ასევე, აკადემიური/მოწვეული პერსონალის ნაწილი თავად საქმიანობს კვლევის მიმართულებით და სტუდენტების ჩართულობა მათ მუშაობაში მიღებული პრაქტიკაა, თუმცა მსგავსი პრაქტიკის გამოცდილება ნაკლებად იქნა აღნიშნული სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრისას. აღნიშნული აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის გაძლიერებასთან არის კავშირში და, შესაბამისი მიმართულების გაძლიერება სტუდენტების კვლევით საქმიანობაზეც აისახება (იხ. სტანდარტი 4.2 და შესაბამისი რჩევა)
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • საგანმანათლებო პროგრამა; • სილაბუსები; • დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; • ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; • ინტერვიუ მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან; • ინტერვიუ სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან; • ინტერვიუ დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდების ერთობლიობა ნამდვილად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას და მიმართულია შესაბამისი კომპეტენციის განვითარებაზე. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალი იყენებს სწავლა-სწავლების ისეთ მეთოდებს, როგორებიცაა ლექცია, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, და

სხვა. ისინი საჭიროების მიხედვით, შეიძლება მოიცავდეს დისკუსია/დებატებს, ჯგუფურ მუშაობას, გონებრივ იერიშს, შემთხვევის ანალიზსა და სიმულაციას.

საგანმანათლებლო კურსები მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, განსხვავებული ფორმატითა და ინფორმაციის მიწოდების სხვადასხვა ფორმით წარიმართება. თითოეული კურსის ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო მეთოდები და აქტივობები მიმართულია სტუდენტების დაინტერესებასა და საჭირო უნარების განვითარებაზე.

გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ მოთხოვნებს. საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა; სწავლების მეთოდების ადაპტირება ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით გათვალისწინებული და დარეგულირებულია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების მეოთხე თავში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის შესაბამისად.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმების გამოყენებით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში წარმოდგენილია ინკლუზიის კოორდინატორი, რომელიც ამ მიმართულებით მუშაობს და პასუხისმგებელი არის სასწავლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
- ხელშეკრულება ტემპუსის პროექტთან დაკავშირებით „ინდივიდუალური საჭიროების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაცია (ASPIRE)";
- ხელშეკრულება "ERASMUS+" პროექტთან დაკავშირებით „უკეთესი კომუნიკაციის ხელშეწყობა (ABC)" ხელშეკრულება;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან;
- ინტერვიუ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან.

რეკომენდაციები: --

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- 2013-2016 წლებში უდს ჩართული იყო ტემპუსის საგრანტო პროექტში ,,ინდივიდუალური საჭიროების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაცია (ASPIRE)“. აღნიშნული პროექტის ფარგლებში გაიარა სპეციალური მომზადება უნივერსიტეტის 15-მდე თანამშრომელმა, მათ შორის სოციალური მეცნიერებების სკოლის წარმომადგენელმა.
- 2016 წლიდან უსდ მონაწილეობს ,,ERASMUS+“-ის საგრანტო პროექტში ,,უკეთესი კომუნიკაციის ხელშეწყობა (ABC)“, რომლის ფარგლებშიც კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების დარღვევების მიმართულებით შესაბამისი საგანმანათლებლო მოდულებისა და

პროგრამის შემუშავების გარდა, დაგეგმილია სპეციალური აღჭურვილობის შეძენა და სპეციალისტების მომზადება.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება დადგენილი წესის მიხედვით ხდება. შეფასება ორი ძირითადი კომპონენტისგან შედგება და ჯამში 100 ქულას შეადგენს. ეს კომპონენტებია: შუალედური (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება. შეფასების თითოეული კომპონენტი მრავალფეროვან მეთოდებს მოიცავს, მათ შორისაა ტესტი, ესე, დემონსტრაცია, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული და/ან თეორიული დავალება, ჯგუფური მუშაობა, დისკუსია). შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. ამასთან, დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელიც შუალედური შეფასებისთვის შეადგენს 40%-ს, ხოლო დასკვნითი შეფასებისათვის -- 50%-ს. პროგრამის თითოეულ სილაბუსში წარმოდგენილი შეფასების ფორმები შეესაბამება მასში აღწერილ სწავლის შედეგებს და ზომავს მათი მიღწევის დონეს. სწავლის შედეგების მისაღწევად, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, უსდ-ს შემუშავებული აქვს შეფასების მრავალფეროვანი კომპონენტები. სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული შეფასების მეთოდები და კომპონენტები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას. სწავლის თითოეული შედეგის მისაღწევად შემუშავებულია შეფასების რამდენიმე მეთოდი, როგორიცაა წერითი გამოცდა, წერითი ნაშრომი, ზეპირი ინდივიდუალური ან/და გუნდური პრეზენტაცია, წერითი და ზეპირი გამოცდის კომბინაცია, საკლასო აქტივობა, სიმულაცია, ქეისის გარჩევა, საშინაო დავალება და ა.შ. აღნიშნული მეთოდები აღწერილია უნივერსიტეტის შიდა ქსელში lmb.gipa.ge-ის შესაბამისი საგნის ველში. გარდა ამისა, შეფასების სისტემა, კომპონენტები და კრიტერიუმები გაწერილია თითოეულ სილაბუსში და სტუდენტს კურსის დასაწყისში ეცნობა. უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, სტუდენტს უფლება აქვს, წერილობით გაასაჩივროს შეფასება შედეგების გაცნობიდან სამი სამუშაო

დღის ვადაში. ასევე, შემუშავებულია საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი. უნივერსიტეტში მოქმედებს ეთიკის კოდექსი, რომელშიც აქცენტი კეთდება პლაგიატისა და აკადემიური თაღლითობის საკითხებსა და მათი გამოყენების შემთხვევებში შესაბამის სანქციებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • საგანმანათლებლო პროგრამა; • სილაბუსები; • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები; • უნივერსიტეტის ეთიკისა და ქცევის კოდექსი; • უნივერსიტეტის შიდა ქსელი lmb.gipa.ge.
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✘		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წამოდგენილი გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

უნივერსიტეტში მოქმედებს თავისუფალი არჩევითი საგნების სისტემა, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღონ სასწავლო პროცესის დაგეგმვაში. თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ „GIPA-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების საგნები ხელმისაწვდომია ყველა პროგრამის სტუდენტებისათვის. პროგრამის კოორდინატორის თანხმობით სტუდენტს შეუძლია უარი თქვას მისი პროგრამის მიერ შემოთავაზებულ არჩევით საგანზე და მოითხოვოს სხვა პროგრამაზე არსებული არჩევითი საგნით მისი ჩანაცვლება", თუმცა როგორც გასაუბრებიდან დადგინდა, აღნიშნულ შესაძლებლობას ნაკლებად იყენებენ სტუდენტები, რაც, გარკვეულწილად, საგნების წინაპირობების არსებობის შედეგია.

პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტებისთვის განკუთვნილ ინდივიდუალურ, და ჯგუფურ კონსულტაციებს. აღნიშნულ კონსულტაციებს აქვს როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური სახე და პროცესში ჩართული არიან როგორც ლექტორები, ისე —ადმინისტრაციის თანამშრომლები (ამის მაგალითია ფოკუს ჯგუფის შეკრებები, რომელიც რეგულარულად იმართება). აღსანიშნავია ლექტორებსა და სტუდენტებს შორის უშუალო და მჭიდრო კომუნიკაცია, რასაც უნივერსიტეტის ზომაც უწყობს ხელს.

საკონსულტაციო საათები გაწერილია სილაბუსებში. აკადემიური, მოწვეული, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციისათვის გამოყოფილი საათები, რომელთა ჩატარების ვალდებულება გაწერილია ლექტორთა ვალდებულების შესახებ რეგულაციაშიც.

სტუდენტები პროგრამაში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილების შესახებ ინფორმაციას კოორდინატორის, ელექტრონული ფოსტისა და LMB საუნივერსიტეტო ბაზის მეშვეობით იღებენ. ამასთან, სტუდენტების გამოკითხვის შედეგები გათვალისწინებულია მათივე მხარდაჭერის მომსახურების გასაუმჯობესებლად, რასაც ცხადყოფს ყოველწლიური აკადემიური საბჭოს ოქმები, სტუდენტებთან და კურსდამთვრებულებთან ინტერვიუები.

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრისგან სისტემატურად იღებენ ინფორმაციას ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ, თუმცა მათში ჩართულობა სტუდენტების მხრიდან ძალიან დაბალია. აღნიშნულის მიზეზად როგორც სტუდენტების, ისე პერსონალის მხრიდან, სახელდება ის ფაქტი, რომ პროგრამაზე მოსული სტუდენტები უკვე დასაქმებული არიან და ვერ ახერხებენ და (არც არიან დაინტერესებულნი) მსგავს აქტივობებში ჩართვას დროის დეფიციტის გამო, გაცვლითი პროგრამის შემთხვევაში კი უარს ვერ ამბობენ სამსახურის დატოვებაზე.

გარდა იმისა, რომ სტუდენტებს ელექტრონულ ფოსტაზე მუდმივად მისდით უნივერსიტეტიდან შემოთავაზებული ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია, (აღნიშნული კომუნიკაცია წარმოებს ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალების career@gipa.ge და studentscenter@gipa.ge მეშვეობით) უნივერსიტეტი აწყობს დასაქმების ფორუმსაც. მაგალითად, ასეთი დასაქმების ფორუმი შედგა მიმდინარე წლის 1-ელ ოქტომბერს, სადაც სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ შეხვედროდნენ პოტენციურ დამსაქმებლებს, როგორებიცაა „აჭარა ჯგუფი", რომელიც დასაქმების ფორუმში მონაწილეობდა და ინტერვიუზე დამსაქმებლის სახით იყო წარმოდგენილი.

ასევე, პერსონალი აღნიშნავს, რომ ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც უნივერსიტეტში მოწვეული სტუმრის სტატუსით მოსული სტუმარი გამხდარა დამსაქმებელი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიური საბჭოს ოქმები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამის ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან;
- www.gipa.ge.

რეკომენდაციები: --

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტების წახალისება გაცვლით პროგრამებსა თუ სხვადასხვა ტიპის ღონისძიებაში ჩასართავად, რაც ხელს შეუწყობს პროგრამზე ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაზრდას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები და/ან თანახელმძღვანელები, რომლებსაც გააჩნიათ საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო კვლევითი გამოცდილება. თითოეული ხელმძღვანელი კონსულტაციას უწევს სტუდენტს კვლევით პროცესში ყველა ძირითად საკითხთან დაკავშირებით. სტუდენტებთან კონსულტაციებს აქვს რეგულარული ხასიათი. სტუდენტს აქვს საშუალება აირჩიოს სამაგისტრო ნაშრომის თემა ხელმძღვანელის მიერ შეთავაზებული თემებიდან ან თავად შესთვაზოს საკვლევი თემის სახელწოდება. ასევე, სტუდენტს ეძლევა საშუალება თავად აირჩიოს სამაგისტრო ნამუშევრის ხელმძღვანელი საკვლევი თემიდან გამომდინარე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუები უსდ-ს ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- მოწვეული და აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები;

• სილაბუსები; • თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✘			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;

- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამას ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე აკადემიური პერსონალი და მოწვეული ლექტორები, რომლებსაც აქვთ როგორც შესაბამისი აკადემიური ხარისხი, ისე -- ფართო პედაგოგიური და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება, რაც დასტურდება პირად საქმეებში წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევებითა და პუბლიკაციებით.

პროგრამას ახორციელებს 23 აკადემიური/მოწვეული პერსონალი, რომელთაგან 8 უსდ-ის აკადემიური პერსონალია (3 პროფესორი, 3 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი და 1 ასისტენტი), ხოლო -- 15 მოწვეული ლექტორი.

სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა (ერთ აკადემიური პერსონალზე მოდის 7 სტუდენტი, ხოლო ერთ მოწვეულ ლექტორზე -- 4 სტუდენტი), აგრეთვე, თანაფარდობა უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალსა და მოწვეულ ლექტორებს შორის (35%-65%) ეფუძნება უსდ-ის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტს, უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას, მიზნების მიღწევასა და სტუდენტებთან ინდივიდუალურ მიდგომას.

აკადემიური პერსონალის შერჩევა ხდება ინსტიტუტის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილი პროცედურების მიხედვით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პროცედურებს.

პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი ხელმძღვანელობს დატვირთვის სქემით, რომლის განახლება ხდება ყოველ სემესტრში. დატვირთვის სქემა არეგულირებს პერსონალის საქმიანობას, რომელიც სალექციო საათებთან ერთად მოიცავს სტუდენტებისთვის განკუთვნილ საკონსულტაციო საათებს, დამოუკიდებელ მუშაობას, მაგისტრანტების ხელმძღვანელობას და საკუთარი სამეცნიერო საქმიანობის წარმართვას.

პროგრამას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე ორი ხელმძღვანელი, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული პროგრამის განვითარების და ხარისხის მართვის პროცესში და ეწევიან პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას.

გარდა ამისა, გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამას ჰყავს კვალიფიცირებული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. პროგრამის კოორდინატორი, ხელმძღვანელებთან ერთად, პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის გამართულ მიმდინარეობასა და მონიტორინგზე, დოკუმენტაციის და სხვა ტექნიკური საკითხების მოგვარებაზე, სტუდენტების და პერსონალის დროულ ინფორმირებაზე, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემის განახლებაზე.

სოციალურ მეცნიერებათა სკოლის, რომლის ბაზაზეც ხორციელდება წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა, ხარისხის მართვის მენეჯერი სისტემატურად გეგმავს და ახორციელებს სწავლის ხარისხის კონტროლზე მიმართულ აქტივობებს, როგორებიცაა სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა, აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების შეფასება. აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან პროგრამის ხელმძღვანელები და კოორდინატორი.

პროგრამას მართავს სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი, რომელიც უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით, ზრუნავს პროგრამის სტრატეგიული განვითარებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- პროგრამის ხელმძღვანელისა და კოორდინატორის სამუშაო აღწერილობები;
- ხელშეკრულების ნიმუშები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, კოორდინატორთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან.

რეკომენდაციები: --

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველწლიურად ახორციელებს როგორც მთლიანად პროგრამის, ისე მისი ისეთი კომპონენტების შეფასებას, როგორებიცაა აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროდუქტიულობა, სტუდენტთა აკადემიურ მოსწრება, სტუდენტთა კონკურენტუნარიანობა, მათი ჩართულობა კვლევით პროექტებში და ა. შ. შეფასების შედეგები მიეწოდება ინსტიტუტის კვლევის დეპარტამენტს, რომელიც, თავის მხრივ, წარადგენს ყოველწლიურ ანგარიშს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვლევითი საქმიანობისა და სამეცნიერო პროდუქტიულობის შესახებ. მიღებული მონაცემების გათვალისწინება ხდება აკადემიური პერსონალის ატესტაციის პროცესში, აგრეთვე, ხელშეკრულების პირობებში.

ყოველწლიური ანგარიშის საფუძველზე იგეგმება შემდეგი წლის აქტივობები, ტრენინგები, სემინარები რომელიც მიმართულია აკადემიური, კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობის გაუმჯობესებაზე, ყოველივეს გათვალისწინება ხდება ბიუჯეტის დაგეგმისას.

უნივერსიტეტის კვლევითი დეპარტამენტი ზრუნავს კვლევითი კომპონენტის გაძლიერებასა და საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის ხელშეწყობაზე შემდეგი აქტივობებით: კვლევების ხელშემწყობი შიდა საგრანტო კონკურსები, სამეცნიერო კონფერენციებზე და სემინარებზე დასასწრებად სამოგზაურო გრანტები სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის, სამეცნიერო ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნების ხელშეწყობა, თუმცა აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი გეგმავს მომდევნო სამი წლის განმავლობაში ბიუჯეტის ზრდას

კვლევის კომპონენტში, რისი საჭიროებაც სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის შედეგად გამოვლინდა. მიუხედავად არსებული რესურსებისა, როგორც ვიზიტის მსვლელობისას აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებისას გაირკვა, პერსონალი ნაკლებად მიმართავს და სარგებლობს აღნიშნული რესურსებით. მხოლოდ ერთ (მოწვეულ) ლექტორს ჰქონდა შიდა კვლევითი გრანტი მიღებული. ინსტიტუტში 2013 წლიდან ფუნქციონირებს თანამედროვე სწავლების ცენტრი, რომლის მიზანია აკადემიური და მოწვეული პერსონალის პედაგოგიური უნარების შემდგომი დახვეწა. ცენტრში ტარდება შესაბამისი ტრენინგები ადგილობრივი და მოწვეული ექსპერტების მიერ. გამოყენებითი ფსიქოლოგიის პროგრამის განმახორციელებელი პროფესორების მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, აგრეთვე 50 ზე მეტი პუბლიკაცია (სტატიები, მონოგრაფიები, კვლევები, ანგარიშები) ასახულია მათ პირად საქმეებში და დასტურდება სამეცნიერო გამოცემებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; • გენდერული თანასწორებისადმი ცნობიერების ამაღლება -- მონაწილეთა ანგარიშები; • Social Sciences: New Challenges in Transitional Societies -- კონფერენციის მონაწილეთა პრეზენტაციები; • ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • აკადემიური პერსონალის წახალისება არსებული კვლევითი/სამეცნიერო აქტივობისათვის გამოყოფილი რესურსების მეტად ათვისებისათვის, რაც ხელს შეუწყობს როგორც თავად პერსონალის საქმიანობის გაუმჯობესებასა და გაძლიერებას, ისე -- სტუდენტების ჩართულობას კვლევით საქმიანობაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გამოყენებით ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამისთვის უნივერსიტეტს გამოყოფილი აქვს ორი შენობა, რომელთაგან ერთ-ერთი უნივერსიტეტის მფლობელობაშია, მეორე იჯარით არის

აღებული. შენობებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (ცეცხლმაქრები, სიგნალიზაცია). პირველი სართული ხელმისაწვდომია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. უსაფრთხოებისთვის დამონტაჟებულია ვიდეო კამერები და მუშაობს დაცვის თანამშრომელი.

აკადემიური პერსონალისთვის გამოყოფილია შესაბამისად აღჭურვილი სამუშაო სივრცე.

გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის უნივერსიტეტში შექმნილი პირობები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ხელმისაწვდომობას, რაც ხელს უწყობს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას, კერძოდ, პროგრამის სტუდენტებისთვის ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასები შესაბამისი აღჭურვითა და ინტერნეტით, აუდიტორიები შეესაბამება თანამედროვე ტექნიკურ მოთხოვნებს.

სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ სილაბუსებში მითითებული სახელმძღვანელოებითა და მეთოდური ლიტერატურით, ასევე სხვა სამეცნიერო ლიტერატურით როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური სახით, რასაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა. სამკითხველო დარბაზში შესაძლებელია სარგებლობა ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგით, ინტერნეტ და საერთაშორისო ელექტრონული რესურსებით, როგორიცაა: EBSCO; JSTOR; Cambridge Journals Online; BioOne Complete; e-Duke Journals Scholarly Collection; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books; IMechE Journals; New England Journal of Medicine; Openedition Journlas; Royal Society Journals Collection; SAGE Premier.

უნივერსიტეტი იყენებს სწავლების ორგანიზების ელექტრონულ სისტემას -- lmb.gipa.ge, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობასა და აკადემიური მოსწრების კონტროლს. gipa.ge მეილების სისტემა საშუალებას აძლევს სტუდენტებს ისარგებლონ სხვადასხვა აპლიკაციით.

უნივერსიტეტისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, ასევე, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის თუ სიახლეების შესახებ საჯარო ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ინსტიტუტის ვებ - გვერდის საშუალებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი;
- ვებგვერდზე არსებული კატალოგები;
- ელექტრონული ბიბლიოთეკა;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება ვიზიტის მსვლელობისას;
- ინტერვიუ ბიბლიოთეკართან და ელექტრონული მართვის სისტემის ადმინისტრატორთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის დაფინანსების წყაროა სტუდენტთა სწავლის გადასახადი, რომელიც შეადგენს წელიწადში 3500 ლარს. პროგრამის ბიუჯეტი გაწერილია და წარმოდგენილია დოკუმენტის სახით, სადაც გათვალისწინებულია მოსალოდნელი შემოსავლები და ხარჯები. ვინაიდან მთლიანად ინსტიტუტი არის არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი და შესაბამისად არ არის მოგებაზე ორიენტირებული, პროგრამის ბიუჯეტი მთლიანად იხარჯება საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებაზე და მოიცავს: ადმინისტრაციულ ხარჯს, თანამშრომელთა ხელფასებს, ლექტორთა ჰონორარებს, ლიტერატურის განახლებას, სხვადასხვა სასწავლო ღონისძიებების თუ სტუდენტთა სწავლის ხელშემწყობი აქტივობების განხორციელებისთვის საჭირო ხარჯს. ყოველი თვის ბოლოს, პერსონალის დამოწმებული დატვირთვის სქემის საფუძველზე, პროგრამის კოორდინატორი ფინანსურ დეპარტამენტს წარუდგენს ფინანსურ მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც ხდება პროგრამისთვის თანხების გამოყოფა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • პროგრამის ბიუჯეტი; • ინტერვიუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✘			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და

აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესი თანამშრომლობითია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შორის. ისინი ერთობლივად მონაწილეობენ პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების, შეფასების, სწავლის შედეგების შეფასებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს სფეროს მარეგულირებელ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების და საუნივერსიტეტო მარეგულირებელი აქტების მოთხოვნებს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს. უსდ-ში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს ციკლს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“. უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება უწყვეტი პროცესია და აღნიშნული ციკლი ხორციელდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა სამსახურის მიერ, სტუდენტთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, დამსაქმებლებისა და კურსდამთვრებულთა სისტემატიური გამოკითხვებისა და მათი ანალიზის საფუძველზე. პროგრამის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით ყოველი სასწავლო კურსის ბოლოს გათვალისწინებულია როგორც სტუდენტების, ისე ლექტორების მხრიდან კურსის განხორციელების შეფასება, რის შედეგადაც განისაზღვრება ცვლილების საჭიროება გონივრული ვადების გათვალისწინებით. საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების მიზნით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ჯგუფის წევრების კომპეტენციების შესაბამისად პასუხისმგებლობის სფეროების გადანაწილებასა და შესაბამისი მიმართულებით სამუშაოს შესრულებას, ამ მიზნით სამუშაო ჯგუფის მუშაობაში ჩართულია როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ რეკომენდაციები განსახილველად წარედგინება სკოლის აკადემიურ საბჭოს, რომელიც აანალიზებს შემუშავებულ რეკომენდაციებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისა და საგანმანთლებლო პროგრამის შემდგომი დახვეწის მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან გასაუბრება • თვითშეფასების ჯგუფთან გასაუბრება; • პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრება; • აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება;

- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუები;
- განხორციელებული შეფასების შედეგები და განხორციელებული ცვლილებები;
- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო.

რეკომენდაციები: --

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- GIPA-ში ჩვეულ პრაქტიკას წარმოადგენს პროფესორის მიერ სტუდენტთა ჯგუფის შეფასება. კურსის განმახორციელებელი პროფესორი/მოწვეული ლექტორი მთელი რიგი კრიტერიუმების მიხედვით აფასებს ჯგუფს, რაც სასარგებლო ინფორმაციას აწვდის როგორც პროგრამის განმახორციელებლებსა და ხელმძღვანელებს, ისე — აკადემიურ პერსონალს რეფლექსიისა და პროგრამის/კურსის შემდგომი დახვეწის მიმართულებით.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

- სხვადასხვა წყაროდან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაში რეალურად განხორციელდა ცვლილებები, რაც ინტერვიუებშიც გამოჩნდა. ასე მაგალითად, მაპროფილებელი საგნები დაემატა როგორც პოლიტიკური, ისე მართვის ფსიქოლოგიის კონცენტრაციებს.

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულება მონაწილეობს ხარისხის პერიოდულ გარე უზრუნველყოფაში, რომელიც ითვალისწინებს საკანონმდებლო ჩარჩოს, რომელშიც ის ფუნქციონირებს. უნივერსიტეტის სტანდარტებთან შესაბამისობის გარე შეფასების მექანიზმით ხორციელდება შიდა შეფასების (თვითშეფასება) დადასტურება. თვითშეფასებით საგანმანათლებლო დაწესებულება განსაზღვრავს საკუთარ შესაბამისობას სახელმწიფოს მიერ მიღებულ სტანდარტებთან.

უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის 25 მარტს სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციები თითქმის სრულად იქნა გაზიარებული და პრაქტიკაში დანერგილი. მაგალითად, რეკომენდაციების გათვალისწინებით, უფრო ნათლად ჩამოყალიბდა კომპეტენციები მართვის და პოლიტიკური ფსიქოლოგიის მიმართულებით; უფრო მკაფიოდ გაიწერა სალექციო კურსები თითოეული კონცენტრაციისთვის: არჩევით სალექციო კურსები შეიცვალა სტატუსით „სავალდებულო-არჩევითები".

2014 წელს აკრედიტაციის მიღების შემდგომ, პროფესიული მოსაზრებებით, აგრეთვე, დაინტერესებულ მხარეთა რეკომენდაციების გათვალისწინებით, პროგრამა ისე იხვეწებოდა შინაარსობრივი, თემატური თუ სტრუქტურული მიმართულებით, რომ ცვლილებებს არ გამოუწვევია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ცვლილება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გარე ხარისხის შეფასების შედეგები;
- გარე ხარისხის შეფასების შედეგად განხორციელებული ცვლილებები, განახლებული საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან და თვითშეფასების ჯგუფთან;
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- 2014 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა.

რეკომენდაციები: --

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): --

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ უნივერსიტეტში შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემა და სტუდენტთა მონიტორინგის შეფასების მექანიზმები, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ზოგადი სურათის სრულად დასანახად, მასში მონაწილეობს და ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე: სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და პოტენციური დამსაქმებლები. ამ მიზნით მუშაობს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასების მექანიზმები.

უნივერსიტეტი ახორციელებს თავისი პროგრამების მონიტორინგს და პერიოდულ შეფასებას დასახული მიზნების მიღწევისა და სტუდენტებისა და საზოგადოების საჭიროებებზე რეაგირებისათვის. შეფასების მიზანს პროგრამების უწყვეტი გაუმჯობესება წარმოადგენს. ამ პროცესის შედეგად დაგეგმილი ან განხორციელებული ნებისმიერი აქტივობის შესახებ ეცნობება ყველა შესაბამის, დაინტერესებულ მხარეს.

მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში -- პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება.

ხელახალი აკრედიტაციის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენამდე, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ნაწილზე, რომელიც არსებითად გადამუშავებული სახით არის პროგრამაში წარმოდგენილი, გამომდინარე აკრედიტაციის პროცესის მოთხოვნებისა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან;; • ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასების შედეგები; • ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; • დაწესებულების მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; • კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევა; • პროგრამის შეფასების შედეგები; • უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები; • შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა კვლევა; • დამსაქმებელთა გამოკითხვის ანგარიშის ვრცელი და მოკლე ვერსიები; • კონკურენტების კვლევის ანგარიში.
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): --
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✘			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

ააიპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

გამოყენებითი ფსიქოლოგია

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 29 გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✘			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✘		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✘			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✘			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✘			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ლილი ხეჩუაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნანა ბურდული

რუსუდან ბოჭორიშვილი

ლალი ჩირგაძე